ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით

თეიმურაზი გრძელიძე

ახალი ძვლოვანი მინერალის გამოყენება დენტალურ იმპლანტაციაში

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2019

თემის აქტუალობა

სტომომატოლოგიურ პრაქტიკაში ბოლო ათი წლის განმავლობაში დენტალური იმპლანტაცია ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს. ლიტერატურული მონაცემები მოწმობენ, რომ ორთოპედიულ სტომატოლოგიაში დენტალური იმპლანტაციის მეთოდი ფართოდ გამოიყენება კბილთა მწკრივის დეფექტის შესავსებად. ამან გარკვეულ წილად გადაჭრა იმ სტომატოლოგიური დაავადებების რეაბილიტაციის პრობლემა, რასაც თან ახლავს პაციენტების კბილთა და კბილების გარშემო არსებული ქსოვილების დაზიანება.

დენტალურ იმპლანტაციაში მიღწეული წარმატებებისა და სამეცნიერო მიღწევების მიუხედავად, ჯერ კიდევ აქტუალურ პრობლემად რჩება პროთეზის კონსტრუქციის ღრძილზე საყრდენ ქსოვილებში განვითარებული ანთებითი პროცესის გართულებების პროფილაქტიკა.

კბილთა რიგის დეფექტები და განსაკუთრებით კბილთა სრული არ არსებობა, ძალიან ხშირად პროტეზების სრულფასოვანი ფიქსაციის და ფუნქციონირების პრობლემებს ქმნის. ალვეოლარული წანაზარდების ატროფია რაციონალური პროტეზირების ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორია. კბილების მოცილებიდან მე-6 თვეზე ალვეოლური წანაზარდის სიმაღლის

საშუალო დანაკარგი შეადგენს ქვედა ყბისთვის 2,3 მმ-ს, ზედა ყბისთვის კი - 4,4მმ-ს. კბილების ექსტრაქციის შემდეგ მოცემული ანატომიური ზონის თავისებურება ძვლოვანი ქსოვილის საწყისი ზომების შენარჩუნების საშუალებას არ იძლევა, შესაბამისად დაკარგული მოცულობა შეიძლება შეივსოს მხოლოდ ბიომასალის ქირურგიული ჩანერგვის გზით, რომელსაც უნარი აქვს ან მექანიკურად შეასრულოს ძვლის ფუნქცია ან მისი რეგენერაციის პროცესებზე მოახდინოს მაინდუცირებელი ზეგავლენა. იმპლანტების გამოყენებით ორთოპედიული მკურნალობისთვის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად ოპერაციული ჩარევის ცალკე მიმართულება არსებობს. ამ მიმართულების ძირითად ჯგუფს შეადგენს რეკონსტრუქციულ-ძვლოვანპლასტიკური ოპერაციები, რომელიც მიმართულია იმპლანტის ადგილას ძვლოვანი ქსოვილის მოცულობის გაზრდისკენ. დღესდღეობით სამედიცინო ლიტერატურაში არსებული მონაცემებით ყბის ძვლოვანი ქსოვილის მინერალური შემადგენლობა, მისი რეგენერაციის და რემოდელირების თავისებურებები დეტალურადაა შესწავლილი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ბიოკომპოზიციური მასალების დიდი არჩევანი არსებობს.

გამოყენებული ძვლოვან-პლასტიკური მასალები, ძვლის დეფექტის მარტივად შევსების გარდა, ოსტეოგენეზის ინდუქციის, პროგენიტორულ უჯრედებზე ზემოქმედების, კერაში სამკურნალო ნივთიერებების მიტანის რთულ ფუნქციებსაც ასრულებენ. ამ მიზნით გამოიყენება მასალის ფართო სპექტრი: კოლაგენი, ჰიდროქსიაპატიტი და მათი სხვადასხვა კომბინაციები, კონსერვირებული ალო, ქსენო და აუტოძვალი. ერთერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად აუტოლოგიურ მასალად რჩება თეძოს ძვლის ქედისგან (crista iliaca) დამზადებული იმპლანტი, რომელიც სიცოცხლისუნარიან ოსტეობლასტებს და ოსტეოგენეზის პოტენციის უნარის მქონე ძვლის ღეროვან უჯრედებს შეიცავს. როგორც ქირურგიული გამოცდილება აჩვენებს იმპლანტაციისთვის გამოსაყენებელი არსებული მასალები (გამოყენებისას მკაცრად პროგნოზირებადი ეფექტურობის არ არსებობის გამო) სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს ქირურგების მოთხოვნებს, რაც ჩვენი აზრით დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ მასალებს მხოლოდ ოსტეოკონდუქტური თვისებები გააჩნიათ. აუტოლოგიური მასალის გამოყენების ძირითადი უარყოფითი მხარეებია დამატებითი ტრვმების მიყენება, რომლის ხარისხიც ძვლის

დეფექტის ზომის პროპორციულია და პროთეზის ქსოვილებთან შეხების მიდამოში ტკივილის ხანგრძლივი სინდრომი ახასიათებს. ყველა ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა კვლევის მიზნის შერჩევა.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ბიოტოლერანტული ძვლის მატრიქსის შემუშავება, რომელიც წარმატებულად იქნება გამოყენებული იმპლანტის ჩანერგვის ადგილას ძვლოვანი ქსოვილის მოცულობის გასაზრდელად.

1. მსხვილი რქოსანი პირუტყვის ძვლოვანი ქსოვილისგან დეცელულარიზირებული ნატურალური ძვლოვანი მატრიქსის მიღების ტექნოლოგიური ეტაპების შემუშავება და დახვეწა;
2. ძვლოვანი ქსოვილის დეცელულარიზაციის მეთოდის ოპტიმიზაცია;
3. მაქსიმალურად კლინიკურ პირობებთან მიახლოვებული ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტის მოდელირება ექსპერიმენტში ცხოველებზე;
4. ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტის აღსადგენად ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი ნატურალური ძვლოვანი მატრიქსის ეფექტურობის შესწავლა;
5. ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტის აღსადგენად ნატურალური, მინერალური მატრიქსის (Bio-Oss)-

ისა და ტიტანის იმპლანტის ერთეტაპიანი იმპლანტაცია;

6. ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტის აღსადგენად ჩვენს მიერ შემუშავებული ახალი ნატურალური ძვლისა და ტიტანის იმპლანტის ერთეტაპიანი იმპლანტაცია;

7. ძვლოვანი ქსოვილის მოცულობის გაზრდის მიზნით ჩვენს მიერ შემუშავებული დეცელულიზირებული ძვლის მატრიქსის და ნატურალური ძვლის მინერალის "Bio-Oss"- ის (შვეიცარია) ეფექტურობის შედარებითი ანალიზის ჩატარება რენტგენოლოგიური და მორფოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- პირველად მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ბარძაყის ძვლისგან იქნა მიღებული ბიოტოლერანტული ნატურალური ძვლოვანი იმპლანტი, რომელსაც აპატიტის მსგავსი ნანოკრისტალური სტრუქტურა გააჩნია.

- პირველად ექსპერიმენტში ცხოველებზე შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ შემუშავებული იმპლანტის ეფექტურობა, რაც მისი ჩანერგვის ადგილას ძვლოვანი ქსოვილის მოცულობის მატებაში გამოიხატა.

- ადრეული და შორეული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული ნატურალური ძვლოვანი მატრიქსი შეიძლება აუტოგენური ძვლის ალტერნატივა გახდეს სხვადასვა ძვლოვანი დეფექტების აღმოსაფხვრელად.

- პირველად შემუშავდა დენტალური იმპლანტისა და ძვალ-პლასტიკური კომპოზიტის ერთეტაპიანი იმპლანტაცია.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ჩატარეული კვლევები ახალი თაობის მაკრო და მიკროფოროვანი, ადამიანის ძვლის ღრუბლოვანი ნივთიერების ანალოგიური სტრუქტურის მქონე, ბიოკომპოზიციური მასალის სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მოგვცემს. ვინაიდან ნატურალური ძვლოვანი მატრიქსი ბუნებრივი წარმოშობისაა და დეცელულარიზირებულია იგი შეიძლება ადამიანის მინერალურ ძვალთან შეთავსებადად ჩაითვალოს.

დასაცავად გამოტანილი ძირითადი დებულებები

1. ჩვენს მიერ შემუშავებული ნატურალური დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსი

ხელს უწყობს ჭრილობაში ანგიო და ოსტეოგენეზის სტიმულაციას და სრულყოფილი ძვლოვანი რეგენერატის წარმოქმნას, რაც განპირობებულია მისი ოსტეოკონდუქტური და ოსტეოინდუქტური თვისებებით.

2. ნატურალური დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსი წარმოადგენს ადამიანის ძვლის ღრუბლოვანი ნივთიერების ანალოგიურ მაკრო და მიკრო ძვლოვან სტრუქტურას;

3. ნატურალური დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსის ფორების დიდი მოცულობა და ბუნებრივი მინერალური შემადგენლობა ხელს უწყობს უჯრედების კარგ ადგეზიას, მის ვასკულარიზაციას და ახალი ძვლოვანი ქსოვილის სწრაფ განვითარებას.

4. ქსოვილების კომპლექსური რეაქცია ნატურალურ დეცელულარიზირებულ ძვლოვან მატრიქსზე მიმდინარეობს ტოქსიური ეფექტისა და იმუნური კონფლიქტის გარეშე

5. ნატურალური დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსი დენტალური იმპლანტაციის პირობებში უზრუნველყობს ძვლის ქსოვილის სრულყოფილ რეპარაციულ რეგენერაციას და საგრძნობლად ამცირებს ძვლის რეგენერაციის ვადებს

6. ტიტანის იმპლანტისა და ძვალ-პლასტიკური კომპოზიტის ერთეტაპიანი იმპლანტაცია უზრუნველყოფს დენტალური იმპლანტების სტაბილურობას.

7. ჩვენს მიერ შემუშავებული დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსი შეიძლება აუტოლოგიური ძვლის ალტერნატივა გახდეს;

მასალა და მეთოდები

ექსპერიმენტული კვლევებისათვის გამოყენებული იქნა ორივე სქესის, 6 თვის ასაკის ლევისის ხაზის 120 ვირთაგვა (30 ცხოველი ჯგუფში), სხეულის მასით 150- 200გ. ყველა ქირურგიული მანიპულაცია ჩატარებულ იქნა ზოგადი გაუტკივარების პირობებში (ნატრიუმის ეტამინალის ინტრაპერიტონეული ინექციით, 0,5 მგ/კგ-ზე) და ასეპტიკისა და ანტისეპტიკის ყველა წესის სრული დაცვით, ექსპერიმენტულ ცხოველებთან მოპყრობისა და მათი გამოყენების გაიდლაინების შესაბამისად.

ცხოველები დაყოფილ იქნა 4 ექვივალენტურ ჯგუფად. ყველა ცხოველს წინასწარ ექმნებოდა ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტი. ძვლოვანი მატრიქსის მისაღებად ვიყენებდით მსხვილი რქოსანი საქონლის ბარძაყის ძვალს.

დეცელულიზირებული ძვლის მატრიქსის მიღების მეთოდი.

საქონლის დაკვლიდან 1 საათის შემდეგ ბარძაყის ძვალს ვათავისუფლებდით რბილი ქსოვილებისგან. ოსტეოტომით ბარძაყის ძვლის სხეულის ღრუბლისებურ სტრუქტურას ვჭრიდით პატარა 10X5X1 სმ ზომის ფრაგმენტებად. მათ გასარეცხად ვათავსებდით 0.9%-იან NaCl–ის ხსნარში. 12 საათის განმავლობაში ვყინავდით მაცივარში - 800C –ზე. გამოყინვის შემდეგ ძვლის ფრაგმენტები ისევ ირეცხებოდა 0.9%-იან NaCl–ის ხსნარში. ამის შემდეგ, ძვლის ფრაგმენტები თავსდებოდა მაგნიტურ მდღვებავზე და პირველი 24 საათის განმავლობაში ირეცხებოდა 0,01%- იან SDS (Sigma) ხსნარში, შემდეგი 24 საათის განმავლობაში SDS (Sigma)–ის 0,1%-იან- ში და ბოლო 24 საათის განმავლობაში კი - 2%-იან SDS (Sigma)-ხსნარში. ამის შემდეგ ფრაგმენტებს ისევ ვრეცხავდით 0.9%-იან NaCl–ის ხსნარში. გარეცხვის შემდეგ ფრაგმენტები 24 საათით თავსდებოდა ხსნარში, რომელიც 25% აცეტონს და 75% ეთანოლს შეიცავდა. შემდეგი ეტაპი მოიცავდა ძვლის ფრაგმენტების გარეცხვას გამოხდილ წყალში ერთი საათის განმავლობაში და მათ მოთავსებას 2 საათის განმავლობაში 3%-

იან წყალბადის ზეჟანგის ხსნარში. ძვლის ფრაგმენტები იჭრებოდა ნაჭრებად ზომით – 1X1X1სმ. ზემოთ აღნიშნული წესით შექმნილ ძვლის იმპლანტებს ვამუშავებდით ვაკუუმიან ლიოფილურ საშრობში (QUARCO, Germany); ტრანსპლანტაციისათვის გამზადებულ დეცელულიზირებულ და ლეოფილიზებულ იმპლანტებს ვინახავდით სტერილურ შუშის ჭურჭელში.

ქვედა ყბის ძვლოვანი ქსოვილის დეფექტის მოდელირება.

ცდების პირველ სერიაში ზოგადი გაუტკივარების პირობებში, ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების სრული დაცვით, ცხოველს ვათავსებდით საოპერაციო მაგიდაზე. კანის თმიანი საფარველისაგან განთავისუფლების შემდეგ, ქვედა ყბის ქვედა კიდის გასწვრივ ვატარებდით 1,5-2 სმ სიგრძის განაკვეთს, საღეჭი კუნთის აშრევებას და ქვედა ყბის ძვლის ზედაპირის გაშიშვლებას .სტომატოლოგიური ბორით, ბრუნების გარკვეული სიხშირით. ქვედა ყბის ძვლის კუთხეზე იქმნებოდა მრგვალი ღრუ დიამეტრით 2 მმ, რომელიც არ უკავშირდებოდა პირის ღრუს. ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტის

მოდელირების შემდეგ, ჭრილობა შრეობრივად იხურებოდა ყრუთ.

მეორე სერიაში ზოგადი გაუტკივარების პირობებში, ასეპტიკისა და ანტისეპტიკის წესების სრული დაცვით, ცხოველს ვათავსებდით საოპერაციო მაგიდაზე. კანის თმიანი საფარველისაგან განთავისუფლების შემდეგ, ისევე, როგორც პირველ სერიაში, ქვედა ყბის ქვედა კიდის გასწვრივ ვატარებდით 1,5-2 სმ სიგრძის განაკვეთს, საღეჭი კუნთის აშრევებას და ქვედა ყბის ძვლის ზედაპირის გაშიშვლებას .სტომატოლოგიური ბორით, ბრუნების გარკვეული სიხშირით. ქვედა ყბის ძვლის კუთხეზე იქმნებოდა მრგვალი ღრუ დიამეტრით 2 მმ, რომელიც არ უკავშირდებოდა პირის ღრუს. ამის შემდეგ, ქვედა ყბის ძვლოვანი დეფექტს ვავსებდით ჩვენს მიერ შემუშავებული დეცელულიზირებული ძვლოვანი მატრიქსით. დეფექტის მჭიდროდ შევსების შემდეგ მას საღეჭი კუნთით ვფარავდით, კანს ვიკრილის ნაკერით ვხურავდით და სპირტით ვამუშავებდით.

მესამე სერიაში ზოგადი გაუტკივარების პირობებში, ასეპტიკის და ანტისეპტიკის წესების დაცვით, ცხოველებს საოპერაციო მაგიდაზე პირაღმა ვათავსებდით. პირის ღრუს კიდიდან ლოყის უბნის რბილი ქსოვილებზე ვაკეთებდით 2

სმ სიგრძის განაკვეთს. რასპატორის მეშვეობით ვაშრევებდით საღეჭ კუნთს და ქვედა ყბის ძვლის ზედაპირს ვაშიშვლებდით. ყბის სახსრის მარჯვენა მხარეს ვახდენდით პირველი მოლარის ექსტრაქციას და შემდეგ სტომატოლოგიური ბორის საშუალებით ვაშორებდით კბილთაშუა ძგიდეს. ქვედა ყბის ძვალზე ვაფართოებდით ძვლოვან დეფექტს, რომელსაც ვავსებდით ტიტანის იმპლანტით. ჭრილობა ყრუდ იხურებოდა.

მეოთხე სერიაში ზოგადი გაუტკივარების პირობებში, ასეპტიკის და ანტისეპტიკის წესების დაცვით, ცხოველებს საოპერაციო მაგიდაზე პირაღმა ვათავსებდით. პირის ღრუს კიდიდან ლოყის უბნის რბილი ქსოვილებზე ვაკეთებდით 2 სმ სიგრძის განაკვეთს. ისევე, როგორც მესამე სერიაში, რასპატორის მეშვეობით ვაშრევებდით საღეჭ კუნთს და ქვედა ყბის ძვლის ზედაპირს ვაშიშვლებდით. ყბის სახსრის მარჯვენა მხარეს ვახდენდით პირველი მოლარის ექსტრაქციას და შემდეგ სტომატოლოგიური ბორის საშუალებით ვაშორებდით კბილთაშუა ძგიდეს. ქვედა ყბის ძვალზე ვაფართოებდით ძვლოვან დეფექტს. ძვლის მიღებულ დეფექტს ვავსებდით ჩვენს მიერ დამზაებული დეცელულიზირებული ძვლის

მატრიქსით, რომლის ზომა ხვრელის დიამეტრს ოდნავ აღემატებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტიტანის იმპლანტს წინასწარ ვათავსებდით დეცელულიზირებულ ძვლოვან მატრიქსში, და მხოლოდ ამის შემდეგ ვავსებდით ქვედა ყბის ძვლის დეფექტს.

ცხოველები იმყოფებონენ ვივარიუმის სტანდარტულ პირობებში და ექსპერიმენტიდან გამოყვანა ხდებოდა ოპერაციიდან 1, 3, 6, 14, 25, 40, 60, 90, 150, 180, 240 დღეს. აუტოპსიაზე ვაკეთებდით ქვედა ყბის რეზექციას. ქვედა ყბის ძვლის ფრაგმენტებს ვაფიქსირებდით ფოსფატის ბუფერიან პარაფორმალდეჰიდის 4%-იან ხსნარში (pH 7,4) არაუმცირეს 24 საათისა. ფიქსაციის შემდეგ ვაშორებდით კანს, კანქვეშა ცხიმოვანს და საღეჭ კუნთებს. 24 საათიანი დეკალცინირების შემდეგ ვახდენდით დეჰიდრატაციას ეთანოლის მზარდ კონცენტრაციებში, ვაუფერულებდით ქსილოლში და ვაფიქსირებდით პარაფინში. 5-7 მკმ ანათლებს ვღებავდით ჰემატოქსილინ ეოზინით და მასონ-ტრიქრომით. იმუნოჰისტოქიმიური მეთოდებიდან გამოვიყენეტ უჯრედების პროლიფერაციის მარკერი Ki-67. შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა სტიუდენტის მეთოდით.

პირველი სერიის კვლევის შედეგები.

ექსპერიმენტების პირველ სერიაში მოდელირებიდან 24 საათის შემდეგ ქვედა ყბის ძვლის დეფექტის გარშემო არსებულ რბილ ქსოვილებში აღინიშნებოდა შეშუპება, ჰიპერემია და ქსოვილების ინფილტრაცია. მესამე დღეს მკვეთრად გამოვლინდა მწვავე ანთებითი რეაქცია. ეს რეაქცია განვითარდა როგორც პასუხი ქირურგიული ჩარევით გამოწვეულ ქსოვილის დაზიანებაზე. კოლაგენურ ბოჭკოებში ადგილი ჰქონდა ფიბრილური სტრუქტურის და ზოგადი არქიტექტონიკის ცვლილებებს. კაპილარებში კი შეიმჩნეოდა სისხლსავსეობა, ერითროციტების ფენა და კაპილარის სანათურის სრული ობლიტერაციით მიმდინარე კაპილარული ქსელის რედუქციის ნიშნები. დეფექტის მოდელირებიდან მე-4 დღეს დეფექტის გარშემო ღრძილის რბილ ქსოვილებში

აღმოჩენილია დადებითი დინამიკის მქონე გარკვეული მორფოფუნქციური ცვლილებები. მცირდებოდა მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელის უჯრედების და უჯრედშორისი სივრცის შეშუპება. რქოვანი გარსის დესქვამაცია საგრძნობლად შემცირდა. მე-10 დღეს ამ სერიის

ყველა ცხოველში ძვლოვანი დეფექტს მკვეთრად გამოხატული მომრგვალო–ოვალურ ფორმა გააჩნდა. დეფექტის ღრუ ძვლოვანი ფრაგმენტების შემცველ ნეკროზულ მასას შეიცავდა. ოპერაციიდან მე-15 დღეს ტრავმის ზონაში ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ანთებითი რეაქციის ნარჩენი მოვლენები, რომელიც დიფუზურად განლაგებულ ლეიკოციტებს მოიცავდა. აღდგენითი პროცესის საწყისი ეტაპები შენარჩუნებული სტრუქტურის საზღვარზე ძვლოვანი ქსოვილის წარმოქმნაში გამოიხატებოდა, ხოლო დეფექტის დანარჩენი ნაწილი ამ დროისთვის შემაერთებელი ქსოვილით იყო შევსებული. აქ განლაგებული მიკროცერკულაციური სისხლძარღვების უმრავლესობა უზრუნველყოფდა პერივასკულარული უჯრედების შეღწევას, რომელთაც ოსტეობლასტური დიფერონის უჯრედებად დიფერენცირების უნარი გააჩნიათ.

დეფექტის ზონაში, ერთი თვის შემდეგ ძვლოვანი ტიხრები შემოსაზღვრული იყო მკვეთრად ბაზოფილური ციტოპლაზმიანი ოსტეობლასტებით და განლაგებული იყო შენარჩუნებულ ძვლოვან სტრუქტურებზე. ახლადწარმოქმნილი ძვლის ტიხრებს შორის ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო უჯრედული ელემენტებით და სისხლძარღვებით მდიდრი,

ფაშარი, ბოჭკოვანი შემაერთებელი ქსოვილი. ტრავმის მთელ ზონაში ჩანდა გაფართოებული და ჰიპერემირებული სისხლძარღვები. ამ ვადებში მიმდინარე ცვლილებები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც რეგენერაციის აქტიური ფაზა.

დეფექტის ფორმირებიდან მე-60 დღეს მდგომარეობა არსებითად იცვლებოდა. ტრავმულ ზონას მთლიანად ავსებდა ახლადწარმოქმნილი ძვალი. ტიხრებს შორის შუალედები გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 30-ე დღეს, მაგრამ დეფექტის ცენტრში ტიხრები უფრო მეჩხერად იყო განლაგებული, ვიდრე პერიფერიაზე. ახლადწარმოქმნილი ძვლის ტიხრების გაყოლებაზე გვხვდებოდა მრავალბირთვიანი ოსტეოკლასტები, რომლებიც განლაგებული იყვნენ ღრუებში, რაც ძვლოვანი ქსოვილის გარდაქმნასა და ამავდროულად მის ფორმირებაზე მიუთითებდა.

90 დღისთვის დეფექტი უკვე თითქმის მთლიანად შევსებული იყო ფიზიოლოგიური გარდაქმნის ყველა ნიშნის მქონე სრულფასოვანი ახლადწარმოქმნილი ძვლოვანი ქსოვილით, თუმცა ამ რეგენერატის შემადგენელ ნაწილებს დიფერენცირების სხვადასხვა ხარისხი გააჩნდათ. გამოვლინდა ახლადწარმოქმნილი ძვლის

ტიხრებს შორის ბოჭკოვანი ქსოვილის ელემენტები. მკვეთრად იყო გამოყოფილი საზღვარი ახლადწარმოქმნილ ძვალსა და დეფექტის შემდეგ დარჩენილ ძვალს შორის.

რენტგენოგრამამ აჩვენა, რომ მე-60 დღეს ძვლოვანი ქსოვილის დეფექტს გააჩნდა არასწორი კონტურები და პერიმეტრზე გარშემორტყმული იყო პერიფოკალური ანთების ზონით – ძვლოვანი ქსოვილის არაჰომოგენური შესქელებით, რომელსაც ბადისებური სახე ჰქონდა. თუმცა, ძვლოვან დეფექტს შედარებით უფრო მცირე ზომები გააჩდა, ვიდრე ექსპერიმრნტის დასაწყისში და მისი ღრუ ამოვსებული იყო რენტგენოლოგიური თვალსაზრისით ძვალზე ნაკლებად მკვრივი ქსოვილით. ზემოთ თქმული, კვლევის ამ ვადისათვის ძვლოვანი რეგენერატის არასაკმაო სიმწიფესა და მინერალიზაციას ადასტურებს.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სერიის ცხოველებში ქვედა ყბის ძვლის პოსტოპერაციული დეფექტის რეპარაციული რეგენერაცია მიმდინარეობს დეფექტის ნაპირების აპოზიციურად დესმოგენური ოსტეოგენეზის სტადიის გავლით. 60 დღის შემდეგ დეფექტის ნაპირებზე ფორმირდება არაზრდასრული ძვალი, რომელიც დეფექტს ნაწილობრივ ფარავს., რაც

ქვედა ყბის ძვლოვანი ქსოვილის რეპარაციული რეგენერაციის დაბალ ტემპზე მუითითებს. უჯრედების პროლიფერაციის მარკერმა (KI-67) იმუნოჰისტოქიმიური მეთოდების გამოყენებით ამ ვადებში შემცირებული ექსპრესია გვანახა.

რეპარაციული რეგენერაციის პროცესი პოსტრავმული, ქრონიკული ანთების ფონზე მიმდინარეობს, რომლის ხარისხი და მასშტაბები ოსტეორეპარაციის და მეორადი ოსტეოლიზის ერთდროულად მიმდინარე პროცესებს განსაზღვრავს, რაც თავის მხრივ დეფექტის ზონაში რეგენერაციის სიჩქარესა და ხარისხზე მიუთითებს.

მეორე სერიის კვლევის შედეგები.

დეფექტის ზონაში ძვლის დეცელულარიზირებული მატრიქსის მოთავსებისას, მისი ოსტეოინდუქტური და ოსტეოკონდუქტური თვისებებიდან გამომდინარე შეიმჩნეოდა ძვლის წარმოქმნის რეპარაციული პროცესების აქტივაცია. იგი ინტრამემბრანული ტიპის ოსტეოგენეზით მიმდინარეობდა და დეფექტის მთელ მოცულობას იკავებდა. ძვლოვანი მატრიქსის გარშემო ვიზუალიზირდებოდა აპოზიციური ძვალწარმოქმნის უბნები. ადრეულ ვადებში

ძვლოვანი მატრიქსის ზედაპირზე შეიმჩნეოდა პერივასკულური ოსტეოგენური უჯრედების და ოსტეობლასტების ადგეზია, რომელიც ოსტეოიდის შრეს ქმნიდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა ძვლოვანი მატრიქსის ოსტეოინდუქტურ თვისებებს. ეს თვისებები ოსტეოინდუქტორების – ზრდის ფაქტორების და ძვლის მორფოგენური ცილების (იმპლანტის ოსტეოკასტიკური რეზორბციის დროს გამომუშავდება) დამსახურებაა.

ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ოპერაციული ჭრილობის არეში პირის ღრუს ლორწოვანზე აღინიშნებოდა პოსტოპერაციული შეშუპების, ჰიპერემიისა და რბილი ქსოვილების ინფილტრაციის ნიშნები, I სერიის ცხოველების მსგავსად.

წინა სერიის ცხოველებისაგან განსხვავებით, ამ სერიის ცხოველებში რბილი ქსოვილების ინფილტრაციას ადგილი ჰქონდა მხოლოდ პირველი 3-5 დღის განმავლობაში. ანთების ნიშნები ნელ-ნელა მცირდებოდა და სრულიად ქრებოდა ოპერაციიდან მე-7-9-ე დღისათვის.

იმპლანტაციიდან მე-15 დღეს დეფექტის ზოგიერთ პერიფერიულ უბნებზე შეიმჩნეოდა მკვეთრი ბაზოფილია, დეფექტის ზონის ცენტრალურ ნაწილში ჩანდა ლეიკოციტების

გროვები რაც ჯერ კიდევ არსებულ ანთების პროცესზე მიუთითებდა.

იმპლანტაციიდან მე-20-25 დღეს შეიმჩნეოდა დეფექტის მხრიდან ძვლოვანი მატრიქსის მიმართულებით ძვლოვანი ელემენტების ჩაზრდა. ძვლოვანი მატრიქსის ტრაბეკულები გარდაიქნებოდნენ ორგანოტიპიურ ოსტეონურ

სტრუქტურებად, ფორმირდებოდა ე.წ. ქსოვილოვანსპეციფიკური ძვლოვანი რეგენერატი. პერფორაციული ნაპრალი ოსტეოკლასტური რეზორბციის ნიშნების მქონე ახლადწარმოქმნილი ფირფიტოვანი ძვლით იხურებოდა. ეს რეგენერატის რემოდელირების დაჩქარების პროცესს ადასტურებს.

იმპლანტაციიდან 30 –ე დღეს დესტრუქციული პროცესები და შესუსტებული ოსტეობლასტური რეაქციები შენარჩუნებული იყო, რომელიც სისხლძარღვების განვითარების ინტენსივობის შემცირების ფონზე მიმდინარეობდა. ძვლოვანი მატრიქსის უბნებში ჩანდა მრავალბირთვიანი ოსტეოკლასტები. იმპლანტაციიდან მე-60 დღეს ჩანდა ძვლოვანი ტიხრები, რომელიც ძვლოვან დეფექტს ძვლოვან მატრიქსთან აკავშირებდა. მატრიქსის ირგვლივ პერიფერიაზე განლაგებული იყო მცირეი სისხლძარღვები. ჩანდა ახლადწარმოქმილი ძვლოვანი ქსოვილი,

რომელშიც გადახლართული ძვლოვანი ტიხრები ვიზუალიზირდებოდა, ხოლო ამ ტიხრების გაყოლებაზე ჩალაგებული იყო ოსტეოკლასტები, რაც ახლადწარმოქმნილი ქსოვილის გარდაქმნაზე მიუთითებს.

იმპლანტაციიდან 90-ე დღეს ძვლოვანი მატრიქსის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩანაცვლებული იყო ძვლოვანი ქსოვილით. ვიზუალიზდებოდა ძვლოვანი ქსოვილის ფირფიტები, რომელიც შეიცავდა ძვლის ტვინს. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს ახლადწარმოქმნილი ქსოვილის რეკონსტრუქციაზე.

რენტგენოგრამამ აჩვენა, რომ დეფექტის მოდელირებიდან 15 -დან მე-20 დღეს ძვლოვანი ქსოვილის დეფექტს გააჩნდა არასწორი კონტურები და პერიმეტრზე გარშემორტყმული იყო პერიფოკალური ანთების ზონით. იმპლანტაციიდან ერთი თვის შემდეგ აღინიშნებოდა ძვლოვანი ქსოვილის არაჰომოგენური შესქელება. Pპირველ სერიის ცხოველებთან შედარებით ან სერიის ცხოველებს იმპლანტაციის ერთი თვის შემდეგ ძვლოვან დეფექტს შედარებით უფრო მცირე ზომები გააჩდა.

იმპლანტაციიდან 60-დღეს, ძვლოვანი დეფექტის ღრუ ამოვსებული იყო რენტგენოლოგიური თვალსაზრისით ძვალზე ნაკლებად მკვრივი ქსოვილით. იმპლანტაციიდან 90-დღეს ძვლოვანი იმპლანტატის სტრუქტურა რენტგენოლოგიურად არ განხვავდებოდა ნორმალურ ძვლის სტრუქტურისაგან.

უჯრედების პროლიფერაციის მარკერმა (KI-67) Pპირველ სერიის ცხოველებთან შედარებით ამ ვადებში ინტენსიური ექსპრესია გვანახა.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სერიის ცხოველებში დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსი ხელს უწყობს ექსპერიმენტში

ხელოვნურად შექმნილი ქვედა ყბის ძვლის დეფექტის სწრაფ შეხორცებას. დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსის მასტიმულირებელი ეფექტის მისაღწევად მნიშვნელობა ენიჭება სამ მექანიზმს :

1. სისხლძარღვოვანი რეაქციის აქტივაცია, რომელიც ტრავმულ უბანსი ოსტეგენური უჯრედების წინამორბედების ტრანსპორტირებასა და მათ დიფერენცირებას უზრუნველყოფს;

2. ტრავმულ ზონაში ადგილობრივი ოსტეოპროგენიტორული უჯრედების პოტენციალის რეალიზაცია;

3. კოლაგენზე საკუთარი ზრდის ფაქტორების ფიქსაცია;

მესამე სერიის კვლევის შედეგები.

როგორც ჩატარებული კვლევის შედეგებმა გვაჩვენა ტიტანის იმპლანტაციას ტრავმასა და უცხო სხეულზე ორგანიზმის საპასუხო რეაქცია ახლავს თან, რაც ასეპტიკურ ანთებაში გამოიხატება. ანთების დაწყებიდან უკვე 3 საათის შემდეგ ლეიკოციტები კაპილარების კედლის გავლით შემაერთებელ ქსოვილში მიგრირებას იწყებდნენ, გადაინაცვლებდნენ იმპლანტის მიმართულებით, ყოველი მხრიდან გარს შემოეხვეოდნენ და ანთების დაწყებიდან 6-12 საათის შემდეგ მკვეთრად გამოხატულ ლეიკოციტურ ბარიერს ქმნიდნენ. 24-სთ-თვის სისხლძარღვებიდან ნეიტროფილური ლეიკოციტების მიგრაციის პროცესი წყდებოდა, უკვე წარმოქმნილი ლეიკოციტური ბარიერი ზომაში კლებულობდა, რადგან მისი წარმომქნელი უჯრედები იშლებოდა. ანთების კერაში გროვდებოდა ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა რძის მჟავა, რაც აციდოზის განვითარებას იწვევდა; 48 საათის შემდეგ იწყებოდა მაკროფაგების

წარმოქმნის სტიმულაცია სისხლძარღვებიდან მიგრირებული მონოციტების ხარჯზე და ნეიტროფილური ლეიკოციტების ჩანაცვლება. ზემოთ აღწერილი პროცესები დამახასიათებელია მწვავე ანთებისთვის. ამ ვადებში მიმდინარეობდა იმპლანტის ზედაპირზე უჯრედების ადჰეზია. მე-4-5 დღისთვის მაკროფაგები იმპლანტს ირგვლივ არსებული ქსოვილებისგან შემოსაზღვრავდნენ. ვფიქრობდ რომ ეს იყო გრანულაციური ქსოვილის წარმოქმნის წინაპირობა. ერთი თვის შემდეგ იმპლანტის გარშემო ფიბრობლასტები გროვდებოდა და იწყებოდა იმპლანტის გარშემო შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულის წარმოქმნა. იგი მდიდარი იყო კაპილარების ქსელით და გარემომცველი ქსოვილებისგან იმპლანტის იზოლაციას ახდენდა. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დეფექტის მოდელირებიდან პირველივე დღე-ღამეში ჭრილობაში აღინიშნება ძვლოვანი ქსოვილის ნეკროზული უბნები.

მოდელირებიდან 1 თვის შემდეგ დეფექტის გარშემო იწყებოდა რეგენერაციის პროცესი, რის შედეგადაც ვითარდებოდა ტრაბეკულური ძვალი, რომელიც ჯერ ისეთი სუსტი იყო, რომ არ შესწევდა უნარი გაეძლო ფუნქციონალურ დატვირთვისთვის. შემდეგი ეტაპი – შეხორცება – ანუ, ლამენარული ძვლის წარმოქმნა, რომელიც

იმპლანტსა და ძვალს შორის არსებულ სივრცეს ავსებდა (ოსტეოინტეგრაცია).

ეს არის უკვე ზრდასრული, მაგარი ძვალი, რომელსაც უნარი აქვს ღეჭვითი პროცესის დატვირთვას გაუძლოს. მის ჩამოყალიბებას დაახლოებით 18 კვირა სჭირდება. ამავე ვადებში იმუნოჰისტოქიმიურნა უჯრედების პროლიფერაციის მარკერის (Ki-67)-ის ინტენსიური ექსპრესია გვაჩვენა.

როგორც ჩატარებულმა კვლევებმა გვანახა, თუ ვადებს არ დავიცავთ, იმპლანტის გარშემო არსებული ქსოვილების ნეკროზული უბნების ჩამოყალიბება დაიწყება და ამის შედეგად იმპლანტი ამოძრავდება, რაც ოსტეოინტეგრაციის არასრულყოფილ განვითარებას ნიშნავს. კბილის ექსტრაქციის შემდეგ დარჩენილ კბილბუდეში დენტალური იმპლანტის მყისიერი შეყვანა იწვევს ანთებით რეაქციას, რომელიც გამოიხატება არამკვეთრი რეპარაციული პროცესების აქტივაციით ძვლის ქსოვილში და 3-დან 6 თვემდე გრძელდება. ოსტეოგენეზი უფრო ინტენსიურად იმპლანტაციის მე-8 თვიდან ვითარდება.

მეოთხე სერიის კვლევისშედეგები.

ექსპერიმენტების მეოთხე სერიაში მოდელირებიდან 24 საათის შემდეგ ქვედა ყბის

ძვლის დეფექტის გარშემო არსებულ რბილ ქსოვილებში აღინიშნებოდა შეშუპება, ჰიპერემია და ქსოვილების ინფილტრაცია. მესამე დღეს მკვეთრად გამოვლინდა მწვავე ანთებითი რეაქცია. ეს რეაქცია განვითარდა როგორც პასუხი ქირურგიული ჩარევით გამოწვეულ ქსოვილის დაზიანებაზე, და ასევე დეცელულარიზირებული ძვლის მინერალის იმპლანტაციით. კოლაგენურ ბოჭკოებში ადგილი ჰქონდა ფიბრილური სტრუქტურის და ზოგადი არქიტექტონიკის ცვლილებებს. დეფექტის მოდელირებიდან მე-4 დღეს დეფექტის გარშემო ღრძილის რბილ ქსოვილებში აღმოჩენილია დადებითი დინამიკის მქონე გარკვეული მორფოფუნქციური ცვლილებები. მცირდებოდა მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელის უჯრედების და უჯრედშორისი სივრცის შეშუპება. იმპლანტაციიდან მე-6-7 დღეს ღრძილის შემაერთებელ ქსოვილში ანთებითი ინფილტრაციის ხარისხი მცირდებოდა და იგი თანდათან მაკროფაგულ- ფიბრობლასტური ფაზით იცვლებოდა. დვრილოვან შრეში წარმოქმნებოდა ახალი, თითისტარისებური ენდოთელიოციტების შემცველი სისხლძარღვები. უფრო გვიან ვადებში ღრძილის მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმის არქიტექტონიკა და

სტრუქტურა მთლიანად აღდგენილი იყო, შემაერთებელი ქსოვილში არ აღინიშნებოდა გამოხატული ანთებითი ინფილტრაცია. უჯრედული შემადგენლობას კი ძირითადად ფიბრობლასტები შეადგენდნენ.

მე-5-7 დღეს ძვლოვანი დეფექტის და მასში მოთავსებული "ტიტან_ძვლოვანი" კონგლომერატის კვლევებმა აჩვენეს, რომ ხდებოდა ისეთი კაფსულის ფორმირება, რომელიც გრანულაციური ქსოვილის ჩამოყალიბების სტადიას გადიოდა. კონგლომერატის გარშემო ფიბრობლასტების პროლიფერაცია აქტიურად მიმდინარეობდა. საწყისი მაკროფაგული რეაქცია კი არ სუსტდებოდა, არამედ ძლიერდებოდა, რადგან მაკროფაგები და გიგანტური უჯრედები ცდილობდნენ დეცელულარიზირებული ძვლოვანი მატრიქსის (რომელსაც დეფექტის ზონაში ძვლოვანი ქსოვილის მიზანმიმართული რეგენერაციის მიმდინარეობის გამტარის ფუნქცია აკისრია) ფაგოციტირებას და რეზორბციას.

მიუხედავად იმისა, რომ ბიომასალა ბიოშეთავსებადად ითვლებოდა, ფორმა როგორშიც მას ვიყენებდით ("ტიტან-ძვლოვანი მატრიქსი") ქსოვილების რეაქციაზე ზეგავლენას ახდენდა. აღმოჩდა, რომ ადგილობრივი რეაქცია ბიომასალაზე დამოკიდებულია მასალის

ზედაპურულ თვისებებზე, მის ფორმაზე, იმპლანტის და ბიომასალის ზედაპირის ფართობის შეფარდებაზე. ექსპერიმენტის დაწყებიდან მე- 15 დღეს ძვლოვანი მატრიქსით და ტიტანის იმპლანტით იმპლანტირებული ქვედა ყბის ფრაგმენტის შესწავლისას დადგინდა, რომ იმპლანტი დაფარული იყო შემაერთებელი ქსოვილის ბოჭკოებით. ცხადია, უკვე ოპერაციიდან მე-2 კვირას ძვლოვანი მატრიქსის ფოროვნების მაღალი დონე და უხეში ზედაპირი, ასევე ტიტანის იმპლანტის არსებობა ხელს უწყობდა ფიბრობლასტების აქტიურ მიგრაციას და შემაერთებელი ქსოვილის ფორმირებას. გარდა ამისა, ძვლოვანი მატრიქსის ფოროვნება ეფექტური ვასკულარიზაციისთვისაც კარგ პირობებს ქმნიდა. ამ ვადების დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ ტიტანური

იმპლანტის ზედაპირი ძვლოვან მატრიქსში გამოყოფილი იყო და მასთან ერთიან კონგლომერანტს არ ქმნიდა. მნიშვნელოვანია, იმის აღნიშვნა რომ ტიტანის იმპლანტი მის გარშემო არსებული ქსოვილებში ანთების რეაქციას არ იწვევდა. იმპლანტაციის 30 დრის შემდეგ ტიტანის იმპლანტი და ძვლოვანი მატრიქსი უკვე ერთიან სისტემას ქმნიდნენ. მე-60 დღის მაკროპრეპარატების დათვალიერებამ

აჩვენა, რომ ტიტანის იმპლანტი ძვლის მატრიქსთან მჭიდროდ იყო შედუღებებული. გრანულებს შორის სივრცეები კი სავსე იყო ნახევრად გამჭირვალე ძვლოვანი ნივთიერებით . ზონდირებისას დადგინდა მისი მკვრივი სტრუქტურა. ტიტან-ძვლოვანი კონგლომერატი მე-60 დღეზე დეფექტის კედლებს მჭიდროდ ეკვროდა და მათ შორის ვიზუალური საზღვარი არ შეინიშნებოდა.

მე-2-3 დღეს ძვლის მატრიქსის ზედაპირზე შეიმჩნეოდა პერივასკულარული ოსტეოგენური უჯრედების და ოსტეობლასტების არსებობა, რომლებიც ოსტეოდის შრეს ქმნიდნენ, რაც ძვლოვანი მატრიქსის ოსტეოინდუქტურ თვისებებზე მიუთითებდა. მე-8-10 დღეს ძვლოვანი მატრიქსის გარშემო ასევე ვიზუალიზირდებოდა უბნები, სადაც ხდებოდა აქტიური აპოზიციური ძვლის წარმოქნის და ნეოანგიოგენეზის პროცესები. მე-18-20 დღეს იმპლანტაციის ადგილას აღინიშნებოდა შემაერთებელი ქსოვილის ძლიერი პლორიფერაცია რაც ახალგაზრდა ფიბრობლასტების ძვლოვანი მატრიქსის სტრუქტურაში აქტიურად ჩაზრდაში გამოიხატებოდა. დეფექტის ზონა მთლიანად ამოვსებული იყო რეციპიენტის საკუთარი

ახალგაზრდა შემაერთებელი ქსოვილით, რომელთა შორისაც გვხვდებოდა ახლადწარმოქმნილი უხეშბოჭკოვანი სტრუქტურის მქონე ძვლოვანი ქსოვილის კერები.

28-30-ე დღეს დეფექტის უბანში შემაერთებელ ქსოვილთან ერთად გვხვდებოდა ერთეული აქტიური ფიბრობლასტები., რაც ახალგაზრდა ძვლოვანი ქსოვილის ფორმირებაზე მიუთითებდა. ეს უჯრედები დეფექტის ზონის გარშემო არსებული რეციპიენტისზრდასრული ძვლოვანი ქსოვილის გაყოლებაზე ლაგდებოდა და მომრგვალო, დიდი ზომის, ღია ციტოპლაზმის და შედარებით მუქი ბირთვის მქონე უჯრედებს წარმოადგენდა. 40- დღეს ახალგაზრდა შემაერთებელი ქსოვილის პროლიფერაციას თან ახლდა სისხლძარღვების ქსელის ფორმირება. ძვლოვანი მატრიქსის პერიფერიაზე წარმოიშვებოდა აქტიური ოსტეობლასტების რიგები, რაც ახალგაზრდა, რეტიკულოფიბროზული ძვლოვანი ქსოვილის ფორმირებას უკავშირდებოდა. რეგენერატის ზონაში აღმოჩენილი იყო აქტიური მაკროფაგების და მათგან წარმოქმნილი ოსტეოკლასტების დიდი რაოდენობა, რომლებიც არაზრდასრული რეტიკულოფიბროზული ძვლოვანი ქსოვილის

თხელი ტიხრების ინტენსიურ რეზორბციას ახორციელებდნენ.

ზოგიერთ უბნებზე ძვლოვანი მატრიქსის ქსოვილი შემაერთებელი ქსოვილით ჩაენაცვლებოდა, რომელსაც გარს ფირფიტოვანი ძვლოვანი ქსოვილი ეკვროდა. ამ ახლადწარმოქმნილი ძვლის ნაპრალებში ჩანდა ოსტეოკლასტები და აქტიური ოსტეობლასტების რიგები, რომლებიც ოსტეონების წარმოქმნის გზით ძვლების გარდაქმნასა და მის ორგანიზაციაში მონაწილეობდნენ.

მე-80-დღეს ძვლოვანი მატრიქსი ზრდასრული, ფირფიტოვანი ძვლოვანი ქსოვილით იყო წარმოდგენილი, რომელიც ოსტეოზური სტრუქტურის, ღრუბლოვანი ფორმაციის და სტრუქტურის ტიხროვანი ორგანიზაციის მქონე კორტიკალური ფირფიტისაგან შედგებოდა.

ძვლისსაზრდელას აშრევების დროს კარგად ვიზუალიზირდებოდა შემაერთებელ ქსოვილოვანი ბოჭკოები, მცირე და საშუალო სისხლძარღვები რომლებიც როგორც ძვლისსაზრდელას მხრიდან, ისე ძვლის დეფექტის კედლების მხრიდანაც ძვლოვანი მატრიქსის ფორებში იყო ჩაზრდილი. ამავე ვადებში იმუნოჰისტოქიმიურმა კვლევამ

უჯრედების პროლიფერაციის მარკერის (Ki-67-ის) ინტენსიური ექსპრესია გვაჩვენა

დასკვნები.

1. ჩვენს მიერ შემუშავებული ნატურალური ძვლოვანი მატრიქსი წარმოაადგენს ადამიანის ძვლის ღრუბლოვანი ნივთიერების ანალოგიურ არაორგანულ, მაკრო და მიკრო ძვლოვან სტრუქტურას;

2. ფორების დიდი მოცულობის და ბუნებრივი მინერალური შემადგენლობა ახალი ძვლოვანი ქსოვილის განვითარებას და მის იმპლანტთან შეზრდას უკეთებს სტიმულაციას;

3. მინერალს გააჩნია დსტეოკონდუქტიური სტრუქტურა და შესაზლებელი გრანულის, ფხვნილის ან ბლოკების ფორმა მივცეთ;

4. რადგან ნატურალური ძვლოვანი მატრიქსი ბუნებრივი წარმოშობისაა, იგი ქიმიურად და სტრუქტურულად ადამიანის მინერალურ ძვალთან შეთავსებადად შეიძლება ჩაითვალოს;

5. ჩვენს მიერ შემუშავებული დეცელულარიზებული, ლეოფილიზირებული ნატურალური ძვლის მატრიქსის ძვლოვანი

ქსოვილის მოცულობის გაზრდის მიზნით გამოყენების ეფექტურობა შესწავლილია ცხოველებზე დაკვირვების საფუძველზე და რენტგენოლოგიური, მორფოლოგიური, ჰისტოქიმიური კვლევის მეთოდების გამოყენებით.

6. ჩვენს მიერ შექმნილი ძვლოვანი ქსოვილის ნატურალური მატრიქსი სხვადასვა ძვლოვანი დეფექტების შევსებისას შეიძლება აუტოგენური ძვლის ალტერნატივა გახდეს.

პრაქტიკული რეკომენდაციები

ძვლოვანი მინერალი (BIO-OSS) და ბიოტოლერანტული ძვლის მატრიქსი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ძვლოვანი დეფექტების შესავსებად და ძვლის აუგმენტაციისათვის შემდეგ შემთხვევებში: ალვეოლარული მორჩის აუგმენტაცია/რეკონსტრუქცია; კბილბუდის შევსება კბილის ექსტრაქციის შემდგომ. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმპლანტოლოგიაში: იმპლანტის ჩადგმისას მონაკვეთის მომზადებისათვის, ძვლის ნაპრალების შესავსებად და სინუს ლიფტინგის დროს; პაროდონტოლოგიაში: ძვლოვანი დეფექტების შევსებისათვის; ყბა–სახის

ქირურგიაში: ძვლოვანი დეფექტების რეკონსტრუქციისათვის და ორთოპედიაში დიდი ზომის ძვლოვანი დეფექტების აღსადგენად.

Relevance of work

Over the course of last 15 years, dental implants have taken the leading role in dental practice. Literature proves that implantation is widely used in orthopedic dentistry to fill up the defects in toothrow. This has partially solved problem of rehabilitation in oral diseases that cause patients to loose teeth or nearby tissues.

Despite newest achievements in dental implantology, complications, like inflammation processes in tissues under the prosthetics, are still pressing problem.

Tooth alignment defects, predominantly full absence of teeth, complicate full fixation and functioning of prosthetics. Atrophy of the basal bridge is a big drawback for rational orthopedic treatment. On the 6-th month after tooth extraction average height loss on basal bridge for mandible is 2,3 mm and for maxillae is 4,4 mm. specific characteristics for the given area of bone tissue don't give opportunity to

